ხელშეკრულება № 29

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

27.XI.2023 წ

ერთი მხრივ, სსიპ -გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვ.სობისის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის სიმონ გიგაურის სახით და მეორე მხრივ, შპს ,,2+1" (შემდგომში მიმწოდებელი) ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს '' ქვეპუნქტის შესაბამისად , ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია: საკანცელარიო ნივთები (SPV: 30192000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 96 (ოთხმოცდათექვსმეტი) ლარი 90 თეთრი

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1 მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (გორის რაიონი სოფელი ბერშუეთი).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონის შესაბამისად.

5.2 ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით

გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, მან დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, უნდა აცნობოს მეორე მხარეს მისი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავების გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. (ხელშეკრულების მოქმედების ვადა მინიმუმ 30 დღით უნდა აღმეტებოდეს მომსახურების მიღების ვადას)

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვ.სობისის საჯარო სკოლა
ს/კ 218047450
მის: გორის რაიონი სოფელი ქვ.სობისი
ტელ:574 07 67 78

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,, საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა GE32BG0000000526010088

დირექტორის : სიმონ გიგაური

_____
(ხელმოწერა) ბ.ა

მიმწოდებელი:

შპს ,,2+1“
ს/კ 418465529
მის.: ქ. გორი წერეთლის ქ.N23
ტელ: 598 22 20 08

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა GE10TB7923036020100004

კონსტანტინე ბერიძე

_____
(ხელმოწერა) ბ.ა

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია:

№	**დასახელება**	**განზომილების ერთეული**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი**	**საერთო**
1	ფერადი ქაღალდი A4	ცალი	35	0.10	3.50
2	ფერადი ფანქარი 12 ფ	ცალი	1	8	8
3	მაკრატელი	ცალი	2	2,20	4,40
4	მშრალი წებო 15 გრ.	ცალი	2	0,70	1,40
5	მშრალი წებო 36 გრ	ცალი	1	1,50	1,50
6	შავი ფანქარი	ცალი	4	0,50	2,00
7	ფაზლი 24 ც	ცალი	1	10	10
8	სტეპლერი 0221	ცალი	1	2,50	2,50
9	სტეპლერის ტყვია N10	ცალი	2	0,60	1,20
10	ხის ფაზლი	ცალი	1	20	20
11	კალამი პე-2240	ცალი	9	0,60	5,40
12	კალამი	ცალი	1	8	8
13	ბამბიგტონი	ცალი	1	15	15
14	დროშა	ცალი	2	7	14
	ს უ ლ				96,90

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვ სობისის
საჯარო სკოლის დირექტორი /სიმონ გიგაური/

/კონსტანტინე ბერიძე/

შპს ,,2+1“

მიღება-ჩაბარების აქტი

სოფელი ქვ. სობისი

28.XI.2023 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ შპს ,,2+1“ (მიმწოდებელი) და მეორე მხრივ, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვ.სობისის საჯარო სკოლა (შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის სიმონ გიგაურის სახით.

ვადაგენთ აქტს მასზედ, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვ.სობისის საჯარო სკოლას და შპს ,,2+1“-ის შორის გაფორმებული N 28 ხელშეკრულების საფუძველზე (შედგენილს 27.XI.2023)

პირველმა მხარემ ქვ.სობისის საჯარო სკოლას მიაწოდა საკანცელარიო ნივთები, ხოლო მეორე მხარემ ჩაიბარა . გაწეული მომსახურეობის ღირებულებამ შეადგინა 96 (ოთხმოცდათექვსმეტი) ლარი 90 თეთრი

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია 3 ეგზემპლიარად, მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის

შპს ,,2+1“ სოფელ ქვ.სობისის საჯარო სკოლის

კონსტანტინე ბერიძე დირექტორი სიმონ გიგაური

ხელწერილი N 28

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

გორი, სოფ.ქვ.სობისი 27.XI.2023 წ.

ჩვენ, მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ საკანცელარიო ნივთების შეძენის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისად, შპს 2+1-ის მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ

ქვ სობისის საჯარო სკოლის

დირექტორის მ.შ. /ს.გიგაური/

მიმწოდებლის შერჩევაში

მონაწილე პირი: /მ.თათრიშვილი/